CAUCASIAN
WIND COMPANY
GRPC

N 012
23/04/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბ-ნ ლევან დავითაშვილს
მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ. N6,
თბილისი 0159, საქართველო

საგანი: განცხადება გარემოსდაცვითი
გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

ბ-ნო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, სს „კავკასიის ქარის კომპანიის" (ს/ნ 404519865, შემდგომში „**კომპანია**") მიერ თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, ძეგვისა და ლისის თემების ტერიტორიაზე დაგეგმილია „თბილისის ქარის ელექტროსადგურის" (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ, შემდგომში „**პროექტი**") მშენებლობა და ექსპლუატაცია. აღნიშნულ „პროექტზე", „თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, სს „კავკასიის ქარის კომპანიის" თბილისის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 220 კვ ეგხ-ის გაყვანის და 220 კვ ქვესადგურის განთავსების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ნოემბრის N2-1168 ბრძანებით, გაცემულია სკოპინგის დასკვნა N125 (26.11.2019 წ.), რომლის შესაბამისად „კომპანიამ" მოამზადა „პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სკოპინგის ეტაპზე „კომპანიის" მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში „თბილისის ქარის ელექტროსადგურის" მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან ერთად, ასევე განხილული იყო 220 კვ ეგხ-ის გაყვანა და 220 კვ ქვესადგურის განთავსება. გაცნობებთ, რომ მიღებული გადაწყვეტილებით, „კომპანია" განახორციელებს „თბილისის ქარის ელექტროსადგურის" მშენებლობასა და ექსპლუატაციას და 35/220 კვ ქვესადგურის განთავსებას, ხოლო 220 კვ ეგხ-ის გაყვანის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურის გავლას ცალკე უზრუნველყოფს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა".

„პროექტზე" საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" (შემდგომში „**კოდექსი**") გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, „კოდექსის" მე-11 მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ წინამდებარე განცხადებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელსაც თან ერთვის შემდეგი დოკუმენტაცია:

1. „კოდექსის" მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული „თბილისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის" გარემოზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 6334
23.04.2020
+ 03 +

ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში (1 ტომი), (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);

2. „კოდექსის“ მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული „თბილისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში (2 ტომი - დანართები), (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
3. „თბილისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
4. სკოპინგის ანგარიშის ცხრილი (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
5. ტექნიკური მახასიათებლების ცხრილი (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
6. „თბილისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტით“ გათვალისწინებული საქმიანობის ადგილის GIS კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად, ელექტრონული სახით);
7. „პროექტის“ სიტუაციური რუკა PDF ფორმატში (ელექტრონული სახით);
8. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ნაბეჭდი სახით);
9. „კომპანიის“ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ნაბეჭდი სახით).

პატივისცემით,

ზურაბ გორდეზიანი
სს „კავკასიის ქარის კომპანიის“
გენერალური დირექტორი